პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 137 (19579) ◆ პარასკევი, 13 ივნისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქმემ გამოაჩინა



გაიმართა ახალგაზრდა მალაროელთა მეოთხე რესპუბლიკური კონკურსი, რომელიც მოაწყო საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა. სიმარჯვეისა და ოსტატობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ტყვარჩელის, ტყიბულის, ახალციხის, კვაისისა და ჭიათურის ახალგაზრდა მალაროელები.

კონკურსში მონაწილეობდნენ მალაროელთა სამი პროფესიის წარმომადგენლები: გვირაბგამყვანები, მებიგეები და ელექტროშეინკლები. ნაუნდის მაღაროელმა ცხადყო შესანიშნავი ცოდნა და პროფესიული რიგიერი. გამარჯვეს კვაისელმა გვირაბგამყვანებმა და ელექტროშეინკლებმა. ეიფორიულ მებიგეებმა. საუკეთესოთა შორის საუკეთესო აღმოჩნდა გვირაბგამყვანთა ბრიგადის მალაროელი ალექსანდრე ბაზაევი, რომელიც ამ ფოტოსურათზეა აღბეჭდილი.

ლ. გუსოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა

მ ი მ ა რ თ ვ ა

ნატოს წევრი სახელმწიფოებისადმი, ევროპის ყველა ქვეყნისადმი ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების პროგრამითურთ

შეგნებული აქვთ რა თავიანთი ხალხებისა და კაცობრიობის წინაშე პასუხისმგებლობა ევროპაში და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბედისათვის, და ხელმძღვანელობენ რა მისწრაფებით, მიაღწიონ უკეთესობისაკენ, ადეკვატურ გარდატეხას ახლანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ ახლა განსაკუთრებით საჭიროა მტკიცე მოქმედება, იმისათვის გამიზნული კონკრეტული ღონისძიებანი, რომ შეწყდეს გამალებული შეიარაღება, გადავიდეთ ნამდვილ განიარაღებაზე, აღმოვფხვრათ ომის საფრთხე.

ისინი მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს მომდინარე საუკუნის დამლევისათვის ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის სრულ და ყველგან ლიკვიდაციას. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ბირთვული გამოცდების შეწყვეტა, ბირთვული განიარაღების განხორციელება და კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილება, ქიმიური იარაღის აკრძალვა და ლიკვიდაცია და განიარაღების სხვა ღონისძიებანი ხელს შეუწყობს ევროპის ხალხებისათვის, მთელი პლანეტის ხალხებისათვის უფრო უსაფრთხო მსოფლიოს შექმნას.

მოკავშირე სახელმწიფოები მხარს უჭერენ განიარაღების პრობლემებისადმი კომპლექსურ მიდგომას, იმას, რომ მასობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაცია განმტკიცებული იყოს შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირებით. ბირთვული იარაღისაგან ევროპის განთავისუფლებასთან ერთად შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების პრობლემა განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს ევროპის კონტინენტის აწყოსა და მომავლისათვის, სადაც ახლა ერთმანეთს უპირისპირდება ყველაზე თანამედროვე იარაღით აღჭურვილი შეიარაღებული ძალების ორი უდიდესი დაჯგუფება, ამასთან ჩვეულებრივი შეიარაღების ზოგიერთი სისტემა თავისი საბრძოლო მახასიათებლებით სულ უფრო უახლოვდება მასობრივი მოსპობის საშუალებებს. მათ საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ბირთვული განიარაღების დარგში კონკრეტულ ღონისძიებებს, შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას თან სდევდეს სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯების შესაბამისი შეკვეცა.

ხელმძღვანელობენ რა ამ მოსაზრებებით, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ევროპის ყველა სხვა სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას მიმართავენ ამ წინადადებებით, რომლებიც მასობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაციის პროგრამის მნიშვნელოვანი დამატებაა. ამავე დროს ეს წინადადებები დამოუკიდებელი ხასიათისაა, მათი რეალიზაცია არსებითად შეამცირებს ევროპაში ომის საფრთხის დონეს.

I.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები წინადადებას აყენებენ არსებითად შემცირდეს ევროპის სახელმწიფოების სახმელეთო ჯარებისა და ტაქტიკური დამკვრელი ავიაციის ყველა კომპონენტი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ევროპაში განლაგებული შესაბამისი ძალები და საშუალებანი. ამავე დროს ჩვეულებრივ შეიარაღებასთან ერთად უნდა შემცირდეს 1000 კილომეტრამდე სიშორის (მოქმედების რადიუსის) ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების ბირთვული შეიარაღებაც.

შემცირების გეოგრაფიული ზონა მთელი ევროპის ტერიტორია ატლანტიკიდან ურალამდე.

ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირება უნდა განხორციელდეს თანდათანობით შეთანხმებულ ვადებში და ამასთან ნიადაგ უნდა იყოს დაცული სამხედრო წონასწორობა შემცირებულ დონეებზე, ისე, რომ არ დაზარალდეს ვინმეს უშიშროება. შესამცირებელ შენაერთებსა და ნაწილებთან ერთად უნდა შემცირდეს ასევე საშტატო შეიარაღებაც, მათ შორის ბირთვული საშუალებანი.

წინადადებაა, როგორც პირველი ნაბიჯი, ერთი-ორი წლის განმავლობაში განხორციელდეს დაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური კავშირების სახელმწიფოთა ჯარების რიცხვის ერთჯერადი ურთიერთშემცირება 100-150 ათასი კაცით თითოეული მხრიდან. ამ ღონისძიების ფარგლებში დიდი მნიშვნელობა ექნება ტაქტიკური დამკვრელი ავიაციის შემცირებას. ამის შემდეგვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები მზად არიან მოახდინონ შემდგომი მნიშვნელოვანი შემცირება, რომლის შედეგადაც, თუ ამისათვის მზად იქნებიან ჩრდილოატლანტიკური კავშირის ქვეყნები, 90-იანი წლების დამდეგს ევროპაში ორივე კავშირის სახმელეთო ჯარები და ტაქტიკური დამკვრელი ავიაცია შემცირდება დაახლოებით 25 პროცენტით დღევანდელ დონეებთან შედარებით. ასეთი შემცირება შეადგენს ნახევარ მილიონზე მეტ კაცს თითოეული მხრიდან. ამით ევროპაში შეიარაღებული ძალების ერთმანეთს დაპირისპირებული დაჯგუფებები შემცირდება მილიონზე მეტი კაცით.

მოკავშირე სოციალისტური სახელმწიფოები იმის მომხრენი არიან, რომ ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების პროცესი კვლავაც გაგრძელდეს. ორივე კავშირის შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არსებითი შემცირება შესაძლებელს გახდის ამ პროცესში ევროპის სხვა სახელმწიფოთა ჩაბმას.

წინადადებაა, შეიარაღებული ძალების შესამცირებელი კომპონენტები დაიშალოს ტოლფასოვან მთლიან ჯარის შენაერთებად, ნაწილებად და ქვედანაყოფებად მათ საშტატო შეიარაღებასთან და საბრძოლო ტექნიკასთან ერთად. მათი პირადი შემადგენლობა დაექვემდებარება დემობილიზაციას თითოეულ სახელმწიფოში დადგენილი წესით.

შესამცირებელი შეიარაღება და ტექნიკა უნდა მოისპოს ან საწყობებში მოთავსდეს ეროვნულ ტერიტორიაზე შეთანხმებული პროცედურების შესაბამისად. ბირთვული მუხტები უნდა მოისპოს, ზოგიერთ სახეობათა სამხედრო ტექნიკა მორიგების თანახმად შეიძლება გადაიცეს მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის.

შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შესაბამისი შემცირების შედეგად გამოთავისუფლებული სახსრები არ უნდა ხმარდებოდეს ახალ სახეობათა იარაღის შექმნას ან სხვა სამხედრო მიზნებს. ისინი გამოყენებულ უნდა იქნეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების საჭიროებებისათვის.

შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ შეთანხმების მონაწილე ყველა სახელმწიფო იკისრებს ვალდებულებას, რომ არ გაზრდის სახმელეთო ჯარებს და ტაქტიკურ დამკვრელ ავიაციას შემცირების ზონის ფარგლებს გარეთ.

II.

წინადადებაა, შევიმუშაოთ შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების ისეთი წესი, რომლის დროსაც შემცირების პროცესი გამოიწვევს უეცარი თავდასხმის საფრთხის შენელებას და ხელს შეუწყობს სამხედრო-სტრატეგიული სტაბილურობის განმტკიცებას ევროპის კონტინენტზე. ამისათვის წინადადებას ვიძლევით მოვიოლაპარაკოთ იმის შესახებ, რომ თავიდანვე მნიშვნელოვან შემცირდეს ევროპაში ორივე სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ტაქტიკური დამკვრელი ავიაცია, აგრეთვე შემცირდეს ჯარების კონცენტრაცია ამ კავშირების ურთიერთშეხების ხაზის გასწვრივ.

ამავე მიზნით შემუშავდება და განხორციელდება აგრეთვე დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც გააძლიერებს ვარშავის ხელშეკრულებისა და ნატოს ქვეყნების, ევროპის ყველა სახელმწიფოს რწმენას, რომ მათ წინააღმდეგ არ წამოიწყებენ უეცარ შეტევითს ოპერაციებს.

გათვალისწინებულია მორიგებათა მიღწევა ისეთ ღონისძიებათა შესახებ, როგორიც არის დიდი სამხედრო წვრთნის (რაოდენობისა და მასშტაბის მიხედვით) მოწყობის შეზღუდვა, ამ წვრთნის, მათ შორის ევროპაში წვრთნის პერიოდისათვის სხვა რაიონებიდან მოზიდული ძალებისა და საშუალებების რიცხვის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის გაცვლა, აგრეთვე სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ ურთიერთნდობის განმტკიცებას.

ევროპაში ნდობის განმტკიცებას და შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების უფრო სასიკეთო პირობების შექმნას ხელს შეუწყობს ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, როგორიც არის კონტინენტზე ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნა, ორივე სამხედრო კავშირის სამხედრო საქმიანობის თანდათან შემცირება, შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების საკითხებში მათი მონაწილეების თანამშრომლობის მოგვარება.

III.

შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას დაუწესდება საიმედო და ეფექტიანი კონტროლი, როგორც ეროვნული ტექნიკური საშუალებების, ისე საერთაშორისო პროცედურების, ამასთან ადგილებზე ინსპექციების გამოყენებით.

წინადადებაა, თვით შემცირების პროცესისადმი კონტროლის ღონისძიებებთან ერთად მეთვალყურეობა დაუწესდეს შემცირების შემდეგ დარჩენილი ჯარების სამხედრო საქმიანობას.

გამოიყენება აგრეთვე ურთიერთნდობის განმტკიცების იმ ღონისძიებათა შემოწმების ადეკვატური ფორმები, რომლებიც განხორციელდება მორიგებათა შესაბამისად.

კონტროლის განსახორციელებლად დათქმულ მომენტში მხარეები გაცვლიან ციფრობრივ მონაცემებს შემცირების ზონაში სახმელეთო ჯარებისა და ტაქტიკური დამკვრელი ავიაციის საერთო რიცხვისა და ცალკე მათი იმ ნაწილის შესახებ, რომელიც უნდა შემცირდეს, აგრეთვე რჩება შემცირების შემდეგ, შესამცირებელი (დასაშლელი) სამხედრო ფორმირებების ნუსხებს (სიებს), რომლებშიც მითითებული იქნება მათი დასახელება, რიცხვი, დისლოკაცია და ძირითადი შეთანხმებული ტიპები. ნებისმიერ შესამცირებელი შეიარაღების რაოდენობა. მხარეები ერთმანეთს შეატყობინებენ შემცირების დაწყებასა და დამთავრებას.

კონტროლის მიზნით იქმნება საერთაშორისო საკონსულტაციო კომისია ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების, აგრეთვე დაინტერესებული ნეიტრალური და მეუმხრობელი, ევროპის სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლთა მონაწილეობით.

საჭირო შემთხვევებში კონტროლი ფიგურებს შეიარაღებული ძალების შემცირებისადმი, შეიარაღების მოსპობისა თუ საწყობებში მოთავსებისადმი შეიძლება განხორციელდეს საერთაშორისო საკონსულტაციო კომისიის წარმომადგენლთა მონაწილეობით. ასეთი კონტროლისათვის დიდ სარკინიგზო კვანძებზე, აეროდრომებზე, ნავსადგურებში შეიქმნება საერთაშორისო საკონსულტაციო კომისიის წარმომადგენლთა საკონტროლო საგუშაგოები.

IV.

ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების ეს წინადადებანი შეიძლება გახდეს კონკრეტული მსჯელობის საგანი ევროპაში ნდობისა და უშიშროების განმტკიცების ღონისძიებებისა და განიარაღებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მეორე ეტაპზე.

ამავე დროს, ევროპაში სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირების ღონისძიებათა განხორციელების გადაუდებლობის გათვალისწინებით, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ ამ წინადადებათა განხილვა შეიძლება დაიწყოს დაუყოვნებლივ. ამ მიზნით მათ შესაძლებლად მიაჩნიათ მოწვეულ იქნეს სპეციალური ფორუმი ევროპის სახელმწიფოების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის შემადგენლობით.

ისინი აგრეთვე მზად არიან იმისთვისაც, რომ გააფართოონ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკების ფარგლები მასში ევროპის სხვა სახელმწიფოთა ჩაბმისა და მოლაპარაკების მანდატის შესაბამისი შეცვლის გზით.

V.

სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებების, ისევე როგორც ცალკეული სახელმწიფოების ნამდვილი ზრახვების შეფასებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სამხედრო დოქტრინების საკითხი. უნდა გავაქარწყლოთ წლების მანძილზე დაგროვილი ეჭვი და უნდობლობა ერთმანეთისადმი, საფუძვლიანად გავერკვეთ ამ საკითხის გამო ერთმანეთის წუხილშიც. ევროპასა და მთელ მსოფლიოში უშიშროების ინტერესებისათვის სამხედრო კავშირების სამხედრო კონცეფციებსა და დოქტრინებს საფუძვლად უნდა ედოთ თავდაცვითი საწყისები.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები მთელი პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ ისინი არასდროს, არავითარ ვითარებაში არ დაიწყებენ საომარ მოქმედებას რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ — ევროპაში იქნება ეს თუ მსოფლიოს სხვა რაიონში, თუ ისინი თვითონ არ გახდებიან აგრესიის ობიექტი. მათ მიერ წამოყენებული წინადადებანი გამომდინარეობს თანამიმდევრული პოლიტიკიდან, რომლის მიზანია ომის საფრთხის აღმოფხვრა, სტაბილური და უსაფრთხო მსოფლიოს შექმნა, მათი სამხედრო დოქტრინის თავდაცვითი ხასიათიდან, რომელიც გულისხმობს სამხედრო ძალების წონასწორობის შენარჩუნებას რაც შეიძლება უფრო დაბალ დონეზე, სამხედრო პოტენციალების შემცირებას თავდაცვისათვის საჭირო საკმარის ფარგლებამდე.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა იმავე მშვიდობიანი განზრახვითა არის ნაკარნახები მათი წინადადება ორივე სამხედრო კავშირის ერთდროული დათხოვნის შესახებ.

თავისი კავშირის თავდაცვითს ხასიათს აცხადებენ ნატოს წევრი ქვეყნებიც. აქედან გამომდინარეობს, რომ არ უნდა იყოს დაბრკოლებანი ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების ნაცვალგებითი მნიშვნელოვანი შემცირებისათვის.

* * *

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც გამოდიან ამ მიმართვით, არ აყენებენ არაკეთილ წინასწარ პირობას მაშინ ჩამოყალიბებულ წინადადებათა საგნობრივი განხილვის დაწყებისათვის. ისინი აგრეთვე მზად არიან კონსტრუქციული სულისკვეთებით განიხილონ ამასთან დაკავშირებული სხვა წინადადებანიც, რომლებიც შეიძლება წამოაყენონ ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა, ნეიტრალურმა და მეუმხრობელმა, ევროპის სხვა სახელმწიფოებმა.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელით

ნიკოლაე ჩაუშესკუ

რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით

მ. ს. გორბაჩოვი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით

იანოშ კადარი

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივანი

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელით

გუსტავ ჰუსაკი

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით

ტოდორ ჟივკოვი

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით

ერიხ ჰონეკერი

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით

ვოიცეხ იარუზელსკი

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე

ბუდაპეშტი, 1986 წლის 11 ივნისი.

ბუდაპეშტის თათბირის მონაწილე დელეგაციების ხელმძღვანელთა შეხვედრა

ბუდაპეშტი, 11 ივნისი. (საკუთარი). ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის შემდეგ მონაწილე სახელმწიფოთა დელეგაციების ხელმძღვანელებმა: ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ჰონეკერმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. იარუზელსკიმ, რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ჩაუშესკუმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალურმა მდივანმა ი. კადარმა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა მოაწყვეს ცალკე შეხვედრა და მოლაპარაკება, რომლებმაც გულითადად, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

ВАРШАВСКОГО ДОГОВОРА

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის

К О М У Н И К Е

1986 წლის 10-11 ივნისს ბუდაპეშტში გაიმართა ვარშავის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი.

თათბირში მონაწილეობდნენ:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ტოდორ ჟივკოვი — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური;

გიორგი ატანასოვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

პეტრე მლადენოვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

მიღკო ბალევი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

დობრი ჯუროვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის მინისტრი;

დიმიტრი სტანიშევი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — ერიხ ჰონეკერი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური;

ვილი შტოფი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

ჰერმან აქსენი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

გიორგი ჰაინე — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი;

ეგონ კრენცი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გიუნტერ მიტაგი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ოსკარ ფიშერი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ვოიცეხ იარუზელსკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური;

ზბიგნევ მესნერი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

იუზეფ ჩირეკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

მარიან ოეეხოვსკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

ფლორიან სივიცკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი;

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — ნიკოლაე ჩაუშესკუ — რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე;

ელენა ჩაუშესკუ — რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სამეცნიერო-საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე;

ალექსანდრუ �— რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

ალექსანდრ ბირლადანუ — რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

ალექსანდრ ნიკოლაი — რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

ილიე ვედენა — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

ნიკოლაე

— რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

ეფიმ ტაბერა — რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

ალექსანდრ ბიროლი — რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

ალექსანდრ ბიროლი — რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი;

ილიე ვედენა — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

ნიკოლაე ეფიმ — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

ეფიმ ტაბერა

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის

ბიბლიოთეკა

კომუნიკე

(დასასრული)

პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი; ს. ლ. სოკოლოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი; ვ. ა. მედვედევი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — იანოშ კადარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივანი, დელეგაციის მეთაური; დიერდ ლაზარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; მატიაშ სიურეში — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; პეტერ ვარკონი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; ფერენც კარპატი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — გუსტავ ჰუსაკი — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი, დელეგაციის მეთაური; ლუბომირ შტროუგალი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; ვასილ ბილიაკი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; მილოშ იაკეში — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ბოჰუსლავ ხნოუპეკი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; მილან ვაცლავიკი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი.

თათბირს მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი, პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის გენერალური მდივანი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მიკლოშ ბარიტი.

გაიმართა აზრთა გაზიარება ევროპასა და მთლიანად მსოფლიოში არსებული ვითარების შესახებ, განიხილეს განიარაღებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნის, ევროპასა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცების, სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარებისათვის ბრძოლის აქტუალური ამოცანები.

I.

თათბირის მონაწილეებმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს დაძაბული ვითარების გამო, რომელიც მსოფლიოში შეიქმნა გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების გაძლიერების შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მოქმედებასთან დაკავშირებით, რომლებიც უარს ამბობენ დაადგნენ გამალებული შეიარაღების ალაგმვის, კოსმოსში მისი გავრცელების თავიდან აცილების, ბირთვული გამოცდების შეწყვეტის გზას. ისინი თავს არიდებენ კონსტრუქციულ პასუხს ისეთ დიდ ინიციატივაზე, როგორიც არის XX საუკუნის დამლევისათვის მასობრივი მოსპობის იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამა, რომელიც სსრ კავშირმა წამოაყენა. გრძელდება ევროპაში ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების განლაგება, მრავლდება ძალის, სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის იმპერიალისტური პოლიტიკის გამოვლინებანი. ხალხთა იმედი, რომ რეალური ნაბიჯი გადაიდგმება განიარაღების გზაზე და დაუბრუნდებიან დაძაბულობის შენელებას, რომელიც ბრეჟნევ-ამერიკის ეტაპზე, ბოლოს, ბოლოს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მეცადინეობით. ეს პოზიცია შეესაბამება ბირთვული საუკუნის რეალობებს, მოწმობს, რომ დიდ პასუხისმგებლობას საკუთარი ხალხების, მთელი კაცობრიობის ბედისათვის.

თანამედროვე ვითარებაში არა აქვს გონივრული ალტერნატივა სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას. ახლა განსაკუთრებით მკაცრად უნდა დაიცვათ ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის, ძალისა თუ ძალით დამუქრების გამოუყენებლობის, საზღვრების და ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის, დავის მშვიდობიანად გადაწყვეტის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორუფლებიანობის პრინციპები და საერთაშორისო ურთიერთობის სხვა საყოველთაოდ აღიარებული ნორმები.

II.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეებს, რომლებიც ადასტურებენ პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სოფიის თათბირის 1985 წლის 23 ოქტომბრის განცხადებაში დასახული მიზნებისა და ამოცანების აქტუალურობას, თავიანთ მოვალეობად აღიარებენ ევროპაში ერის ეროვნული ინტერესებისა და ადამიანთა ინტერესებისა, ეროვნული, ეთნიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული-სახელმწიფოებრივი, ეკლესიური, ენობრივი, ტერიტორიული, ოჯახური, ოჯახურ-ეროვნული, ოჯახურ-ეკონომიკური, ოჯახურ-ეროვნულ-ეკონომიკური, ოჯახურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკლესიური, ოჯახურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკლესიურ-ენობრივი, ოჯახურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკლესიურ-ენობრივ-ტერიტორიული, ოჯახურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკლესიურ-ენობრივ-ტერიტორიულ-ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ოჯახურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკლესიურ-ენობრივ-ტერიტორიულ-ეროვნულ-სახელმწიფოებრივ-ეროვნული, ოჯახურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკლესიურ-ენობრივ-ტერიტორიულ-ეროვნულ-სახელმწიფოებრივ-ეროვნულ-ეკონომიკური, ოჯახურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკლესიურ-ენობრივ-ტერიტორიულ-ეროვნულ-სახელმწიფოებრივ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკლესიური, ოჯახურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკლესიურ-ენობრივ-ტერიტორიულ-ეროვნულ-სახელმწიფოებრივ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკლესიურ-ენობრივ-ტერიტორიული, ოჯახურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკლესიურ-ენობრივ-ტერიტორიულ-ეროვნულ-სახელმწიფოებრივ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ხ. პერეს დე კუელიარს

საბჭოთა კავშირი მიესალმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოწოდებას სახელმწიფოებისადმი წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი კოსმოსში განალეგული შეიარაღების თავიდან აცილებასა და კოსმოსის მშვიდობიან ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების შესახებ, და მიიჩნევს ამ მოწოდებას საერთაშორისო გაერთიანების ნების აშკარა გამოხატულებად.

სამე ეხება ერთიანი გლობალური ამოცანის ორ ასპექტს: შეეხეროთ „ვარსკვლავეთის ომების“ სამზადისი, რომელიც ბირთვული თვითმკვლელობით დამთავრდება, და დავუბრუნდეთ მას „ვარსკვლავეთის მშვიდობის“ ალტერნატივა — ავითვისოთ კოსმოსური სივრცე მშვიდობიანი მიზნებისათვის ყველა სახელმწიფოს გაერთიანებული ძალისხმევით.

საბჭოთა კავშირი საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შესაქმნელად სკკპ XXVII ყრილობის მიერ განსაზღვრული კურსის შესაბამისად იღებს, რათა მთლიანად გამოირიცხოს კოსმოსი საომარი საბრძოლო სფეროდან და იგი მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის იქნეს გამოყენებული.

I.

კოსმოსის ათვისება ყველა სახელმწიფოსაგან მოითხოვს ახლებურ, ჰუმანიტად პლანეტურ პოლიტიკურ აზროვნებას, მორეგისა და სამხედრო უპირატესობის კატეგორიებზე უარის თქმას. სრულიად ცხადია, რომ გამალებული შეიარაღების კოსმოსზე გადაცელება ვერანაირად ვერ განამტკიცებს ვისმე უშიშროებას და ვერ გახდის ბირთვულ იარაღს „უმაქნისსა და მოძველებულს“. თანამედროვე რეალობა არც ერთ სახელმწიფოს არ უტოვებს იმედს დაიცვან თავი მხოლოდ სამხედრო-ტექნიკური საშუალებებით. დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შექმნა მკვეთრად გააძლიერებდა ბირთვული ომის გაჩაღების რისკს, საფრთხეს ყველა სახელმწიფოსა და ხალხისათვის.

ბირთვულ-კოსმოსურ ხანაში უშიშროებას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ კოსმოსში იარაღის გასვლის თავიდან აცილებისა და ბირთვული განიარაღების გზით. სწორედ ამას ისახავს მიზნად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაში წამოყენებული გეგმა, რომლის მიზანია 2000 წლისათვის მთელ მსოფლიოში განხორციელდეს ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაცია. გეგმა ითვალისწინებს, რომ დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების აკრძალვის მორიგება მიღწეულ იქნეს პირველსავე ეტაპზე სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ხოლო მეორეზე — მრავალმხრივ საფუძველზე, წამყვან ინდუსტრიულ სახელმწიფოთა სავალდებულო მონაწილეობის პირობით.

ბირთვული განიარაღების პროცესი ორგანულად შეერწყმის კოსმოსის მშვიდობიან ათვისებაში სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარებას. ამ საკაცობრიო საქმეს მოხმარდებოდა ბირთვული არსენალების ლიკვიდაციის კვალობაზე დაზოგილი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი და ის რესურსები, რომლებიც შეიძლება „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამამ შთანთქას.

ვერ დავუშვებთ, რომ „ვარსკვლავეთის ომების“ სამზადისს შეუძლებელი ხასიათი მიენიჭოს, გაამაფაროს გამალებული შეიარაღება, ჩაგვიხერგოს განიარაღების, უშიშროების, ეკონომიკური განვითარების, კოსმოსის ათვისებაში მშვიდობიანი თანამშრომლობის გზები. საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ მკაცრი აკრძალვა დაუწესდეს დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შექმნას, გამოცდასა და განლაგებას ეფექტიანი კონტროლის, კერძოდ, შესაბამისი ლაბორატორიების გახსნის პირობებში. მზად არის იგი ამ საბოლოო მიზნის მისაღწევად ნაწილობრივი ნაბიჯის გადასადგმელადაც.

ასეთ ნაბიჯთაგან ერთ-ერთი იქნებოდა საერთაშორისო შეთანხმება დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების იმუნიტეტისა და ახალი თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემების შექმნის, გამოცდისა და განლაგების აკრძალვის, აგრეთვე უკვე არსებული სისტემების ლიკვიდაციის შესახებ.

კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისათვის, ისევე როგორც დედამიწაზე მისი შეუღწევადისათვის, უპირველესი საქმეა ყველა ბირთვული აფეთქების შეჩერება ნაცვალგების საფუძველზე. „ვარსკვლავეთის ომებისათვის“ განკუთვნილი ბირთვული გამოცდა შეუთავსებელია სამ გარემოში, მათ შორის კოსმოსურ სივრცეში ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების სულისკვეთებასთან.

განუხრელად და უმკაცრესად უნდა სრულდებოდეს — დღესაც, ხვალაც და მომავალშიც — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის ხელშეკრულება, რომელიც სტრატეგიული სტაბილურობის ქვაკუთხედია. სახელმწიფოს, რომელიც მისი დარღვევის ან საამისოდ ხელშეწყობის გზას დაადგებოდა, მძიმე პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა.

ჩვენი რწმენით, კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა მაქსიმალურად გაზარდოთ მოლაპარაკების — როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი მოლაპარაკების არსებული მექანიზმის შედეგიანობა, ეფექტიანად გამოიყენოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაძლებლობანი.

უწინარეს ყოვლისა, უნდა დაჩქარდეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყენევის მოლაპარაკება, რათა მიზანია შემუშავდეს ეფექტიანი მორიგებანი, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამალებული შეიარაღება კოსმოსში და შეწყდეს იგი დედამიწაზე. შეიზღუდოს და შემცირდეს ბირთვული შეიარაღება, განმტკიცდეს სტრატეგიული სტაბილურობა. ამ მოლაპარაკებაზე საბჭოთა მხარის მიერ შეტანილმა წინადადებებმა საჭირო საფუძველი შეუქმნა ბირთვული იარაღის ღრმა შემცირებისა და კოსმოსში გამალებული შეიარაღების დაუშვებლობის სწრაფ და ქმედითს შეთანხმებათა მიღწევას.

ამავე დროს ჩვენ წინადადებას ვიძლევით დავიწყოთ საქმიანი მოლაპარაკება განიარაღების კონფერენციაზე კოსმოსში იარაღის გასვლის დაუშვებლობის მიზნით.

II.

დღეს კოსმონავტიკა სულ უფრო მეტად ესადგება დედამიწას, პლანეტის პრაქტიკულ საქმეებს. დადგა დრო, ქვეყნად საყოველთაო პროგრესისა და უშიშროებისათვის მთელი კაცობრიობის ძალებით მოვკიდოთ ხელი კოსმოსის მშვიდობიანი ათვისების მასშტაბურ პროგრამებს.

არ არის გონივრული ვქსაქსავდეთ და ვიმეორებდეთ სახელმწიფოთა ღონისძიებებს კოსმოსის ათვისებაში. მათი რაციონალური გამოყენება კოორდინაციისა და გაერთიანების საფუძველზე მოგვტანდა კუმულაციურ ეფექტს, რეალურს გახდიდა იმას, რაც უბრალოდ არ ძალუძს ერთ, თუნდაც ყველაზე განვითარებულ ქვეყანას.

კოსმოსში სახელმწიფოთა თანამშრომლობა გახდებოდა მათ შორის და დედამიწაზე ნდობის, ურთიერთგაგების განმტკიცების ხიდი. სსრ კავშირი მზად არის განავითაროს ეს თანამშრომლობა ყველა სახელმწიფოსთან როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფუძველზე. ჩვენ მომხრენი ვართ ყველასათვის ღია და ხელმისაწვდომი თანამშრომლობისა, რომელშიც არ იქნება არავითარი დისკრიმინაცია და რომელიც ხელშესახებ სარგებლობას მოუტანს ხალხებს. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ მშვიდობიანი კოსმოსური პროექტების განხორციელებაში მსოფლიოს ყველა ქვეყნის მეცნიერთა და ინჟინერთა თანამშრომლობამ კოსმოსი ჰუმანიტად მსოფლიო ლაბორატორიად გადაქციოს.

საბჭოთა კავშირი სახელმწიფოთა საერთაშორისო გაერთიანების განსახილველად გთავაზობთ **კოსმოსის მშვიდობიანი ათვისების ერთობლივი პრაქტიკული მოკმედების ეტაპობრივ პროგრამას.** იგი სამ ეტაპად არის განაგრძობებული და მიზნად ისახავს 2000 წლისათვის შექმნას „ვარსკვლავეთის მშვიდობის“ მტკიცე მატერიალური, პოლიტიკურ-სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლები.

პირველი ეტაპი (ორგანიზაციული). 5 წლის განმავლობაში შევისწავლით მსოფლიოს ხალხთა მოთხოვნილებას კოსმოსური ტექნიკის გამოყენებაზე კოსმოსურ საშუალებათა თანამედროვე შესაძლებლობისა და განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით. იმ მიზნით, რომ მთელი სისრულით განვიხილოთ კოსმოსის პრობლემა და შევთანხმოთ კომპლექსური პროექტების ძირითადი მიმართულებანი, აგრეთვე მის მშვიდობიან ათვისებაში თვისებრივად ახლებური, ფართო მასშტაბის საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპები, მოვიწვიოთ არაუგვიანეს 1990 წლისა საერთაშორისო კონფერენცია, ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია კოსმოსის საკითხებზე, ან განვიხილოთ ეს საკითხები სხვა რომელმე შესაფერის ფორუმზე. ფორუმი მოიწონებდა 90-იანი წლებისა და მომდევნო 10-15 წლის პერსპექტივის სამოქმედო პროგრამას. იგი დაიფუძნებდა მსოფლიო კოსმოსურ ორგანიზაციას და მისი ეგიდით — სპეციალიზებულ პროგრამებს თანამშრომლობის კონკრეტული პროექტების რეალიზაციისათვის. პირველი ეტაპის ღონისძიებათა განხორციელებას, მათ შორის, კონფერენციის მომზადებას იკისრებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსური სივრცის შშვიდობიანი მიზნით გამოყენების საკითხთა კომიტეტი.

საბჭოთა კავშირის აზრით, მთელი ძალისხმევა უნდა მოხმარდეს კოსმოსური ტექნიკის გამოყენების ფართო მასშტაბის პროექტების შემუშავებას, რათა გადაწყდეს ყველა ქვეყნისათვის საერთო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთი ამოცანები, როგორიც არის:

კავშირგაბმულობა, ნავიგაცია, ადამიანთა გადარჩენა დედამიწაზე, ატმოსფეროსა და კოსმოსში;

დედამიწის დისტანციური ზონდირება სოფლის მეურნეობის, ხმელეთისა და მსოფლიო ოკეანის ბუნებრივი რესურსების ათვისების ინტერესებისათვის;

დედამიწის ბიოსფეროს შესწავლა და შენარჩუნება, ამინდის პროგნოზირების და სტიქიური უბედურების მაუწყებლობის გლობალური სამსახურის შექმნა;

ენერგიის ახალი წყაროების გამოყენება, ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების შექმნა, მათ შორის, მედიცინისა და ბიოლოგიისთვის, ღრმა ვაკუუმისა და უწონობის პირობების გამოყენებით მთელ რიგ წარმოებათა მოგვარება.

გარდა ამისა, შეძენილი გამოცდილების, კერძოდ, ჰალეის კომეტის შესწავლაში ახლახან მიღწეული წარმატების გათვალისწინებით, მზადაშეწონილია განვითარდეს კოსმოსისა და ციური სხეულების კვლევა გეოფიზიკური მეთოდებით და ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურების მეშვეობით.

ასეთ პროექტებს რომ აყენებს, საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ისინი უნდა განასახიერებდეს მსოფლიო ტექნიკური აზროვნების საუკეთესო მიღწევებს, წარმოადგენდეს ყველა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი და ჭეშმარიტად ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ნაყოფს, მოჰქონდეს მათთვის რეალური სარგებლობა განვითარებადი სახელმწიფოების მოთხოვნილებათა საგანგებო გათვალისწინებით.

ჩვენი აზრით, რეალისტური და სამართლიანი იქნებოდა, რომ ამგვარი საერთაშორისო პროექტებს სარეალიზაციოდ ძირითად სახსრებს გამოყოფდნენ კოსმოსური სახელმწიფოები და სხვა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები; განვითარებადი სახელმწიფოები ასეთ პროექტებში მონაწილეობას მიიღებდნენ შეღავათიანი პირობებით, ხოლო ყველაზე ნაკლებად განვითარებულნი მიიღებდნენ მუშაობის მეცნიერულ და ტექნოლოგიურ შედეგებს თავიანთი განვითარების მიზნებისადმი დახმარების წესით. საბჭოთა კავშირი აცხადებს, რომ მზად არის გაუზიაროს სხვებს თავისი მიღწევები კოსმოსურ დარგში, აწარმოოს სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო რონგანიზაციებს მშვიდობიანი კოსმოსური აპარატების გაშვება საბჭოთა მატარებელი რაკეტებით ურთიერთმისაღები პირობებით.

მეორე ეტაპი (მატერიალური მომზადებისა) მოიცავდა 90-იანი წლების პირველ ნახევარს. იგი მოხმარდება კოსმოსური ტექნიკის შემუშავებასა და შექმნას შეთანხმებული პროექტებით. ამა თუ იმ სისტემის ექსპლოატაციაზე გადასვლა განხორციელდებოდა მათი მზადყოფნის კვალობაზე. რა თქმა უნდა, თავდაპირველად შეიძლებოდა ძალებისა და საშუალებების თავმოყრა პრიორიტეტულ პროექტებზე, რომლის დროსაც გავითვალისწინებდით, კერძოდ, მათი თვითანაზღაურების უსწრაფესი უზრუნველყოფისა და შეშენილი გამოცდილების შემდგომი ამოცანების გადასაწყეტად გამოყენების შესაძლებლობებს.

ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანა გახდებოდა კოსმოსური ტექნიკის კომპლექსური გამოყენება დედამიწის ბიოსფეროს მდგომარეობის გლობალური შესწავლისათვის მისი შენარჩუნების კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების მიზნით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მესამე ათასწლეულის დამდეგს სახელმწიფოები გაართიანებდნენ თავიანთ კოსმოსურ მიღწევებს დედამიწის პლანეტის გადასარჩენად.

თანდათან გაფართოვდებოდა მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის საქმიანობა. იგი შეუდგებოდა კოსმოსის ათვისების სახელმწიფო გეგმების კოორდინაციას, კოსმოსური საქმიანობის შედეგების გაზიარების მოგვარებას, ქვეყნების, მეტადრე კოსმოსის გამოყენების გზაზე პირველი ნაბიჯის გადამდგმელი ქვეყნების, ხელშეწყობას სხვა ქვეყნების კოსმოსურ ობიექტებში თავიანთი ხელსაწყობებისათვის ადგილის მიღებასა და ექსპერიმენტების ორგანიზაციაში, მასშტაბური ეთობლივი ეკოსმოსური პროექტების წაახალისებას. მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაცია დაამაყრებდა ურთიერთთანასა და თანამომქმედებას სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც აბორიგელებენ პროექტებს კოსმოსის მშვიდობიანი გამოყენების დარგში. მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იქნებოდა გლობალური მასშტაბით მთელი თანამშრომლობის მაქსიმალური რაციონალურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის სპეციალიზებული საერთაშორისო პროგრამების საქმიანობის კოორდინაცია.

მესამე ეტაპი (რეალიზაციისა). 2000 წლამდე თანამშრომლობის ყველა მიმართულება მატერიალურად საგრძნობი შინაარსით შეივსებოდა. თანამიმდევრულად განხორციელდებოდა შესაბამისი კოსმოსური აპარატების გაშვება, მოგვარდებოდა საჭირო დედამიწისეული სისტემების ფუნქციონირება, სპეციალიზებული პროგრამები კოსმოსური ტექნიკის გამოყენების სხვადასხვა დარგში იმოქმედებდა თვითანაზღაურების პრინციპით და მოგვცემდა პრაქტიკულ უკუგებას.

თანდათან შეიქმნებოდა ორგანიზაციული და მატერიალური ინფრასტრუქტურა მთელი რიგი დიდი პროექტებისათვის, რომლებიც დაუკავშირდება კოსმოსური აპარატების, მათ შორის ორბიტული სადგურებისა და სამეცნიერო-საწარმოო დანიშნულების პლატფორმების, საპლანეტათშორისო პილოტირებული ხომალდების ერთობლივ შექმნას, რათა XXI საუკუნის პირველივე ათწლეულებში გადავიდეთ მთვარის პრაქტიკულ ათვისებასა და გამოყენებაზე, მთვარის სხვა პლანეტებისაკენ ფრენის განხორციელების ბაზად.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სსრ კავშირის მიერ შემოთავაზებული პროგრამის რეალიზაციის შედეგად დედამიწისირგვლივ კოსმოსური სივრცეს გაერთიანებული ძალებით გამოვიყენებდით დედამიწის ყველა ხალხის ინტერესებისათვის და შეუფერხებდით ეროვნული წინამძღვრების იმას, რომ მესამე ათასწლეულის დადგომისთანავე დედამიწის ცივილიზაცია საპლანეტათშორისო ცივილიზაცია გამხდარიყო.

III.

კოსმოსის ათვისებაში თანამშრომლობის თვისებრივად ახალ ეტაპზე, რომელიც დიდი მატერიალური პროექტების რეალიზაციას გულისხმობს, სახელმწიფოთა ძალისხმევის კოორდინაციის ლოგიკური და აუცილებელი ნაბიჯია მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის შექმნა.

საბჭოთა კავშირს მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაცია მიაჩნია უნივერსალურ სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციად, რომელსაც ექნება თავისი წესდება საერთაშორისო ხელშეკრულების ფორმით, დაკავშირებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შეთანხმებით და კოორდინაციას გაუწევს სპეციალიზებული პროგრამების განხორციელებას. მას დაფინანსებენ უპირატესად დიდი კოსმოსური პოტენციალის მქონე ქვეყნები და სხვა ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოები.

მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის ძალისხმევა მოხმარდება კოსმოსური სივრცის მშვიდობიან ათვისებას და კონტროლს კოსმოსზე გაძალებული ფაფეთ ბიოსფეროს მდგომარეობის გლობალური შესწავლისათვის მისი შენარჩუნების კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების მიზნით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მესამე ათასწლეულის დამდეგს სახელმწიფოები გაართიანებდნენ თავიანთ კოსმოსურ მიღწევებს დედამიწის პლანეტის გადასარჩენად.

თანდათან გაფართოვდებოდა მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის საქმიანობა. იგი შეუდგებოდა კოსმოსის ათვისების სახელმწიფო გეგმების კოორდინაციას, კოსმოსური საქმიანობის შედეგების გაზიარების მოგვარებას, ქვეყნების, მეტადრე კოსმოსის გამოყენების გზაზე პირველი ნაბიჯის გადამდგმელი ქვეყნების, ხელშეწყობას სხვა ქვეყნების კოსმოსურ ობიექტებში თავიანთი ხელსაწყობებისათვის ადგილის მიღებასა და ექსპერიმენტების ორგანიზაციაში, მასშტაბური ეთობლივი კოსმოსური პროექტების წაახალისებას. მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაცია დაამყარებდა ურთიერთთანასა და თანამომქმედებას სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც აბორიგელებენ პროექტებს კოსმოსის მშვიდობიანი გამოყენების დარგში. მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იქნებოდა გლობალური მასშტაბით მთელი თანამშრომლობის მაქსიმალური რაციონალურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის სპეციალიზებული საერთაშორისო პროგრამების საქმიანობის კოორდინაცია.

მესამე ეტაპი (რეალიზაციისა). 2000 წლამდე თანამშრომლობის ყველა მიმართულება მატერიალურად საგრძნობი შინაარსით შეივსებოდა. თანამიმდევრულად განხორციელდებოდა შესაბამისი კოსმოსური აპარატების გაშვება, მოგვარდებოდა საჭირო დედამიწისეული სისტემების ფუნქციონირება, სპეციალიზებული პროგრამები კოსმოსური ტექნიკის გამოყენების სხვადასხვა დარგში იმოქმედებდა თვითანაზღაურების პრინციპით და მოგვცემდა პრაქტიკულ უკუგებას.

თანდათან შეიქმნებოდა ორგანიზაციული და მატერიალური ინფრასტრუქტურა მთელი რიგი დიდი პროექტებისათვის, რომლებიც დაუკავშირდება კოსმოსური აპარატების, მათ შორის ორბიტული სადგურებისა და სამეცნიერო-საწარმოო დანიშნულების პლატფორმების, საპლანეტათშორისო პილოტირებული ხომალდების ერთობლივ შექმნას, რათა XXI საუკუნის პირველივე ათწლეულებში გადავიდეთ მთვარის პრაქტიკულ ათვისებასა და გამოყენებაზე, მთვარის სხვა პლანეტებისაკენ ფრენის განხორციელების ბაზად.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სსრ კავშირის მიერ შემოთავაზებული პროგრამის რეალიზაციის შედეგად დედამიწისირგვლივ კოსმოსური სივრცეს გაერთიანებული ძალებით გამოვიყენებდით დედამიწის ყველა ხალხის ინტერესებისათვის და შეუფერხებდით ეროვნული წინამძღვრებს იმას, რომ მესამე ათასწლეულის დადგომისთანავე დედამიწის ცივილიზაცია საპლანეტათშორისო ცივილიზაცია გამხდარიყო.

კოსმოსის ათვისებაში თანამშრომლობის თვისებრივად ახალ ეტაპზე, რომელიც დიდი მატერიალური პროექტების რეალიზაციას გულისხმობს, სახელმწიფოთა ძალისხმევის კოორდინაციის ლოგიკური და აუცილებელი ნაბიჯია მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის შექმნა.

საბჭოთა კავშირს მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაცია მიაჩნია უნივერსალურ სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციად, რომელსაც ექნება თავისი წესდება საერთაშორისო ხელშეკრულების ფორმით, დაკავშირებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შეთანხმებით და კოორდინაციას გაუწევს სპეციალიზებული პროგრამების განხორციელებას. მას დაფინანსებენ უპირატესად დიდი კოსმოსური პოტენციალის მქონე ქვეყნები და სხვა ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოები.

მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის ძალისხმევა მოხმარდება კოსმოსური სივრცის მშვიდობიან ათვისებას და კონტროლს კოსმოსზე გაძალებული შეიარაღების დარგიდან აცილების თვალსაზრისით. ასეთი კონტროლის მიზნით იგი თავდაპირველად მამოიყენებდა ბირთვული ენერგიისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში. თეატრის კომკავშირელთა ინიციატივით კონცერტისაგან მიღებული მთელი შემოსავალი გადაირიცხა ჩერნობილელთა დახმარების ფონდში.

საბალეტო დასის ახალგაზრდა ცეკვამ მაყურებლებს უჩვენა ახალი პროგრამა, რომელშიც შეივიდა აგრეთვე სამი ნაწარმოების პრემიერა. ეს არის მოცარტის ერთაქტიანი ბალეტი „პატარა ღამის სერენადა“ რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწის გ. ალექსეძის ქორეოგრაფიით. „იუმორესკა“, რომელიც დადგა თ. ვაშაკიძემ და „მხიარული სიმღერა“ მენდელსონის მუსიკის მიხედვით, რომელიც დადგა ნ. მახათელმა.

ჩერნობილელთა დახმარების ფონდში გადაირიცხა საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლის ქორეოგრაფიული სტუდიის საანგარიშო კონცერტისაგან ამ საღამოს მთელი შემოსავალი პოეტმა გადარიცხა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

საღამოს ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე.

(საქინფორმი).

ლექსებს კითხულობს ანდრია ვოზნესენსკი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

როცა თქმა სჯობს არათქმასა ერთობითა და თანადგომით...

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ განიხილა გაზეთ „კომუნისტის“ 11 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის შ. გორგოძის ღია წერილი და მიიჩნია, რომ მასში ობიექტურად არის გაშუქებული დისციპლინის განმტკიცებისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ არსებული გადაუჭრელი პრობლემები და წამოყენებულია აქტუალური საკითხები, რომელთა მოგვარება უდავოდ შეუწყობს ხელს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას.

ეხმაურებიან „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ღია წერილს

ჩვენ მიერ მიღწეულია შეთანხმება, რომ წელს ივლისში გავმართოთ ვაჭრობის მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრება მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. გათვალისწინებული გვაქვს დამატებით შევიმუშაოთ სპეციალურ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც მიეძღვნება სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებიდან, „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის დადგენილებიდან და ღია წერილიდან გამომდინარე სადღეისო აქტუალურ პრობლემებს, მათი გადაჭრის ფორმა და ადგილებს. აქტივის ტრიბუნა უზრუნველებისა და დამატებითი ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელების მიზანდასახულობის ირგვლივ ასევე საშუალებით ვაჭრობის სამინისტრო გაიცნობს საზოგადოებრიობას.

ა. მოვსესიანი,
საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი.

მოსახლეობასთან მხოლოდ მჭიდრო კონტაქტით შეუძლიათ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს ძირეულად გაუჯანსაღონ ოპერატიული ვითარება. საყაროობა საბჭოთა მილიციის მუშაობის სტილის აუცილებელი მემადგენელი ნაწილი გახდა. ამის დადასტურებაა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის შ. გორგოძის შეხვედრა რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებთან, რომელიც მოეწყო თბილისის ჟურნალისტთა სახლში. გულახდილი საუბრის ფორმით მიმდინარე შეხვედრაზე შეეხნენ ბევრ მტიკვნეულ პრობლემას, რომლებსაც ახლა მილიციის ორგანოები წყვეტენ; ქვემოთ მოგვყავს ჟურნალისტთა მთელი რიგი კითხვები და მათზე მინისტრის პასუხი.

— შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის გარდაქმნას ფარ-თოდ დაუჭირა მხარი საზოგადოებრიობამ. როგორია დღეს საკვანძო მომენტები ნეგატიურ მოვლენებზე შეტევაში?

— ჩვენს საქმიანობაში ყურადღების გამახვილებას თვით დრო გვიკარნახებს. სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებმა, ცნობილმა დადგენილებებმა აღკოჰოლიზმისა და უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ მკაფიოდ განსაზღვრა ჩვენი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი.

მათ შორის უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად მიგვაჩნია ქურდული ტრადიციების აღმოფხვრა. ომისშემდგომ წლებში ულმობლმა ბრძოლამ მათს წინააღმდეგ დადებითი შედეგები მოგვცა. მაგრამ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებმა, რომლებმაც მიაღწიეს ამ შედეგებს, საგრძნობლად მოადუნეს სიფხიზლე. და ქურდებმაც არხეინად კი არა, ლაღადაც დაიწყეს ცხოვრება. განსაკუთრებით იშვიათად ვაძლევდით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში დანაშაულობათა ორგანიზატორებს. სხვათა შორის, მსჯავრდადებულ სამართალდამრღვევებსაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ხშირად ექმნებოდათ „მაქსიმალური ხელშეწყობის“ რეჟიმი.

რა თქმა უნდა, სიტუაცია სხვანაირი იქნებოდა, მილიციის ზოგიერთ მუშაკს რომ გამოეჩინა საჭირო პრინციპულობა თავისი მოვალეობის შესრულებისას, ხშირად კი—უბრალოდ ადამიანური წესიერება. ამჟამად ჩვენ განვამტკიცეთ სისტემის საქალაქო და რაიონული ორგანოების, შრომა-გასწორების დაწესებულებების ხელმძღვანელობა. ამას არ ეშველება გვლენა არ მოეხდინა ვითარების გაუჯობესებაზე. უკვე საზოგადოებისაგან იზოლირებულია ეგრეთ წოდებული „კანონიერი“ ქურდების მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც მომავალში კიდევ უფრო მეტი პოზიტიური ძვრების გარანტია. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან ისინი ვერ შეძლებენ ბორტმოქმედების ქსელის ხლართვას. არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა რამ—ისინი აღარ დაამახინჯებენ სხვათა ცხოვრებას და არ ჩაითრევენ ახალგაზრდობას დანაშაულობათა ჭაობში. ვიმეორებ: დავდექით ქურდული ტრადიციების აღმოფხვრის კურსს და ჩვენი საქმიანობის ამ გენერალურ გეზს არ გადავუხვევთ.

— საიდუმლო არ არის, რომ სახკლინის მოხდის ადგილებში, როგორც ატყვიან, ერთ ტაფაში იწვიან შეზიზღებული ადამიანები და გამოუსწორებელი რეციდივისტები. როგორ დავიცვათ პირველი მეორეთა დამლუპველი გავლენისაგან?

— მართლაც, მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ მოვახდინოთ ამ კონტინგენტის კლასიფიკაცია სამართალდამრღვევთა პიროვნების გათვალისწინებით. მუშავდება კანონმდებლობის ცვლილებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს ამას.

პრაქტიკულად დანიშნულებას ამართლებს კოლონია-საწარმოების შექმნა. თავისუფლების აღკვეთის ადგილების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ნიადაგ მტკიცდება. და მომავალში იქ აშენდება სხვადასხვა პროფილის ახალი ქარხნები და ფაბრიკები. იქ მუშაობის შესაძლებლობა მიეცემათ ადამიანებს, რომლებმაც, ვთქვათ, ჩაიდინეს დანაშაული გაუფრთხილებლობით, შეიგნეს თავისი დანაშაული საზოგადოების წინაშე და ისწრაფვიან თავდადებული შრომით გამოისყიდონ იგი.

— ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ ამახინჯებს ნარკოტიკები ადამიანთა ცხოვრებას. როგორ დავიცვათ მოზარდი თაობა ამ „ნელი მკვლელის“ გამხრწნელი გავლენისაგან?

— სტრუქტურულადაც, თვისებრივადაც რეორგანიზებულია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანაყოფები. გამოცდილ ოპერატიულ მუშაკებთან ერთად მათ შეემატნენ მედიცინის მუშაკები. ჩვენი მიზანია არა მარტო გამოვავლინოთ დამღუპველ ჩვეულებას აყოლილნი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საამედოდ ჩავკეტოთ ყველა საძვრომი, რომლებითაც საქართველოში შემოქვთ მომაკვდინებელი საწამლავი, მკაცრად ვაგებინოთ პასუხი მის რეალიზატორებს. ასეთი მუშაობა მომდინარეობს, და მასში ვმონაწილეობთ ქვეყნის სხვა რეგიონებში მომუშავე კოლეგებთან ერთად.

— დამტაცებლები, მეკრთამეები, სპეკულანტები სახელმწიფო ხაზინას აყენებენ ეკონომიკურ ზარალს, რომლის ზუსტი გამოანგარიშება შეიძლება. მაგრამ რით გავზომოთ ზნეობრივი ზიანი, რომელსაც საზოგადოებას აყენებს სამეურნეო დანაშაული?

— იგი არანაკლებ საგრძნობია, ვიდრე ეკონომიკური. წარმოებაში კომბინატორები ხომ ჩვეულებრივად გაფორმებული არიან რიგით თანამდებობებზე. მაქინაციებს რომ ლეგალურობა მიანიჭონ, მათ სპრდებათ თავისი ნომინალური ხელმძღვანელობის თანხმობა. და ისინი ამას აღწევენ. ზოგჯერ უმნიშვნელო გასამრჯელოსათვის უკანონო ნაბიჯს დგამენ ინჟინერები, ტექნოლოგები, ეკონომისტები, რომლებიც ვერ უძლებენ ცდუნებას მიიღონ „ცივან ჩამოვარდნილი“ ფული. აი, ასე, გაიხედავ და, საზოგადოებისათვის დაკარგული მოქალაქე, რომელმაც სინდისი გაყიდა ფულზე, ხოლო სახალხო მეურნეობისათვის — სპეციალისტი. აი, რატომ არის, რომ პ

ვეჩერი
ფაქტები • მოვლენები

უმაღლესი სკოლა: თვისებრივად ახალი ეტაპი

ეუფლებიან ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს

აუდიტორიაში კი არა, ქარხნის საამქროში მოუწევს სადიპლომო ნამუშევრის დაცვა კახა დემეტრაშვილს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს. მისი სპეციალობა — ინჟინერ-პროგრამისტი-მექანიკოსისა — შეიცავს მანქანათმშენებლობისა და დაპროგრამების საფუძვლებს.

კახა დემეტრაშვილი, ტანია სემილეტოვა, ელა კომლაძე და მათი 15 თანაკურსელი „მანქანათმშენებლობაში პროგრამული მართვის“ კათედრის პირველი კურსდამთავრებულები არიან.

პირველ ორ კურსზე სტუდენტები სწავლობდნენ დაპროგრამებას საზოგადოებრივ საწყისებზე. ეს საგანი არ შედიოდა ძირითად სასწავლო პროგრამაში. და მასწავლებლებსაც არ ეთვლებოდათ დაპროგრამების ლექციების, სემინარების, პრაქტიკულ მეცადინეობათა საათები. თავისებური „ეროგულების გამოცდა“ ჩაბარეს იმათ, ვინც ნამდვილად იყო გატაცებული პერსპექტივებით, რომლებიც მათ ახალმა პროფესიამ გადაუშალა. მესამე კურსიდან ენთუზიასტებმა ოფიციალური სტატუსი შეიძინეს.

და კვლავ მოუხდათ სტუდენტებსა და მასწავლებლებს უსასყიდლოდ მუშაობა. ამჯერად როგორც არქიტექტორებსა და მღებავებს, დიზაინერებსა და ხუროებს. ისინი არემონტებდნენ, ღებავდნენ, ერთი სიტყვით, რამდენიმე ასეულ კვადრატულ მეტრზე, რომელიც გამოუყვეს პირველი სასწავლო კორპუსის მეექვსე სართულზე, ქმნიდნენ თანამედროვე გამომთვლელი მანქანების შესაბამის ინტერიერს.

ასე იქმნებოდა თანამოაზრეთა კოლექტივი. სიახლით გატაცებამ, მათ წინაშე მდგომი ამოცანების უჩვეულობამ გავლენა იქონია... სტუდენტთა ჩათვლის წიგნაკებზეც. ჯგუფში 16 ფრიადოსანი და ორი კარგოსანია.

საქართველოს უმაღლესი სკოლის ისტორიაში პირველად ეს ანალგაზრდები ზედიზედ ორი წელიწადია ეკონომიკური ურთიერთდანმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სტუდენტური და სამეცნიერო პროფესიული საქმიანობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები არიან.

ლაურეატის წოდება მოიპოვა კახა დემეტრაშვილმაც. მან კონკურსზე წარმოადგინა თემა — რიცხვეულ-პროგრამული მართვის ჩარხებისათვის მმართველი პროგრამების საინფორმაციო ბაზის შემუშავება, რომელიც უკვე დაინერგა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანებაში. ამ სიახლის ეკონომიკურმა ეფექტმა წელიწადში 166 ათასი მანეთი შეადგინა. მაღე კახას მოუწევს დუმბაკიცოს ქარხნის სპეციალისტებს თავისი ახალი სადიპლომო ნამუშევრის ეფექტიანობა.

თანამედროვე ინჟინრისათვის, მანქანათმშენებელი იქნება იგი თუ მშენებელი, კულმანი და ფანქარი კი არა, სახაზავი ჩარხი და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებია „ინსტრუმენტები“. მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ახალი კათედრის შედარებით მცირე გამოცდილებამ ცხადყო ასეთი წამოწყების საჭიროებაც და პერსპექტიულობაც. მას მხარი დაუჭირეს. ახლა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გამოთვლით ტექნიკას ძირითად პროფესიებთან ერთად ითვისებენ არქიტექტორები, მშენებლები, გეოლოგები. ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა მტკიცედ მკვიდრდება სტუდენტთა აუდიტორიებში.

ლ. იაკობაშვილი.
(საქინფორმის კორ.).

პატარა შკრაბინელ სტუმრებს

ამ დღეებში ცხვარიჭამიის სანატორიუმებსა და პიონერთა ბანაკებში დასასვენებლად მყოფ უკრაინელ ბავშვებს სპეციალური პროგრამა მოუმზადა თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივმა. პირველი შეხვედრა მოეწყობა დღეს. კონცერტზე შეასრულებენ დუეტებს, არიებს, უჩვენებენ სცენებს ქართველი, საბჭოთა და საზღვარგარეთელი ავტორების მიუზიკლებიდან.

— თეატრში შექმნილია მოძმე რესპუბლიკიდან ჩამოსული ჩვენი პატარა სტუმრებისათვის საკონცერტო-გასართობი პროგრამის მედგენის სპეციალური შტაბი, — გვითხრა თეატრის დირექტორმა ა. შანიძემ. — პროგრამა ითვალისწინებს ნორჩი მაყურებლებისათვის საუკეთესო სპექტაკლების ჩვენებას, საუბრებს მუსიკალური და სასცენო ხელოვნების შესახებ, შემოქმედებითს შეხვედრებს მსახიობებთან, კომპოზიტორებთან, რეჟისორებთან. დაგეგმილია „თეატრალური“ ექსკურსიებიც თბილისში.

(საქინფორმი).

12 ივნისი

კონსტრუქციული პოზიცია

საზღვარგარეთის გამოხმაურება

ბუდაპეშტში დამთავრებული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის შედეგები მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღების ცენტრშია.

ბუდაპეშტი. თათბირის მონაწილეებმა, აღინიშნავს უნგრეთის „ნეპსაბადაგი“, სერიოზული წუხილი გამოთქვეს მსოფლიოში არსებული დაძაბული ვითარების გამო, რომელიც გამალებული შეიარაღების, უწინარესად ბირთვული შეიარაღების დაჩქარების, შეერთებული შტატებისა და ნატოს მოქმედების შედეგად შეიქმნა, რომლებიც უარს ამბობენ დაადგნენ გამალებული შეიარაღების ალაგმვის, კოსმოსში მისი გავრცელების დაუშვებლობის, ბირთვული გამოცდების შეწყვეტის გზას. ასეთ პირობებში, წერს გაზეთი, თანამედროვეობის ყარდინალური ამოცანაა მშვიდობის დაცვა, გამალებული შეიარაღების ალაგმვა, კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება განიარაღების, პირველ რიგში, ბირთვული განიარაღების სფეროში.

ვარშავა. პოლონეთის რადიომ და ტელევიზიამ ახალი ამბების პროგრამაში გადაცეს დაწვრილებითი ცნობები თათბირის დამთავრების თაობაზე, რომლებშიც აღინიშნულია, რომ მან მეგობრობისა და თანამშრომლობის ვითარებაში ჩაიარა. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება იმაზე, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა ნატოს წევრ სახელმწიფოებს, ევროპის ყველა ქვეყანას მიმართეს ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების პროგრამით. პოლონეთის ტელევიზიის კომენტატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დოკუმენტი საზოგადოებრივი პოლიტიკური წყობის მიუხედავად სახელმწიფოთა თანაარსებობის ნიმუშად ჩვენი კონტინენტის გადაქცევის ნამდვილი პროგრამაა.

ბერლინი. ქარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე მიღებული მიმართვა ნატოს წევრი სახელმწიფოებისადმი, ევროპის ყველა ქვეყნისადმი კვლავ მოწმობს სოციალისტური ქვეყნების კონსტრუქციულ პოზიციას და მოლაპარაკებისათვის მზადყოფნას. იგი გამოხატავს აგრეთვე გამალებული შეიარაღების ალაგმვის საქმეში სხვა ქვეყნებთან ფართო თანამშრომლობის სურვილს, აღინიშნა **გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიის** ახალი ამბების გამოშვებაში.

პარიზი. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირმა კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ცხადყო, რომ სოციალიზმი ესწრაფვის ქვეყნად მშვიდობას, წერს გაზეთი **„ლუმანიტე“.**

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლა, ისე როგორც არასოდეს, საჭიროა კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა მიზანი იქნება გამალებული შეიარაღების შეწყვეტა. თათბირის მონაწილეებმა მიმართეს ნატოს წევრ სახელმწიფოებს, ევროპის ყველა ქვეყანას ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების პროგრამით. ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა, აღინიშნავს „ლუმანიტე“, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სოციალისტური ქვეყნების მიერ წამოყენებულ პროგრამას ამ საუკუნის ბოლომდე მთლიანად და ყველგან მოისპოს ყველა სხვა სახეობის ბირთვული და მასობრივი განადგურების იარაღი.

ფოტოფაქტი

◆ **სამხრეთ** აფრიკის რესპუბლიკიდან მიღებული ცნობებით, რასისტული პოლიციის სასტიკად გაუსწორდა იოანესბურგში გამართული სტუდენტთა დემონსტრაციის მონაწილეებს. ვიტვატერსრანდის უნივერსიტეტის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა, რომელთა უმრავლესობას თეთრკანიანები შეადგენდნენ, ჩაიარეს ქალაქის ქუჩებში.

ისინი პროტესტს აცხადებდნენ განათლების სისტემაში რასობრივი დისკრიმინაციის, აპარტეიდის საწინააღმდეგო მოძრაობის აქტივისტთა მიმართ საიდუმლო პოლიციის უხეში ძალმომრეობის გამო. მათ მოითხოვეს წინადადით დაპატიმრებული სტუდენტთა ორგანიზაციის ლიდერის რონი მაკგოხის განთავისუფლება.

უცხოელ ჟურნალისტთა თვალწინ პოლიციელები თავს დაესხნენ დემონსტრანტებს და ხელკეტებით სცემეს.

სურათზე: პოლიციური დარბევის დროს.

აპ-საკდესის ფოტო.

● **ჩინეთ-იაპონია**

აღიკვეთოს ისტორიის დამახინჯება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

პეკინი. როგორც სინჰუას სააგენტო იტყობინება, ჩინეთში იაპონიის საქმეთა დროებითს რწმუნებულს გადაეცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა საუშაო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოს იმ ახალი რედაქციის გამო, რომელიც ამას წინათ მოიწონა იაპონიის განათლების სამინისტრომ.

ამ სახელმძღვანელოში, ნათქვამია ნოტაში, „ბევრგან უხეშად არის დამახინჯებული ისტორიული ფაქტები“. მაგალითად, იაპონიის მიერ ჩინეთის წინააღმდეგ გაჩაღებული აგრესიული ომი (1937-1945 წლები). სახელმძღვანელოში დახასიათებულია ომად, რომელიც იაპონიის ჯარებმა, თითქოსდა „იძულებით წამოიწყეს“, „განზრახ იჩქმალება სამართლე იმ სისხლიანი სასაკლაოს შესახებ, იაპონიის მხედრიონმა რომ მოაწყო ნანკინში 1937 წელს“. რაც შეეხება „წყნარი ოკეანის ომს“, სახელმძღვანელოს ავტორები ამტკიცებენ, რომ იგი გაჩაღდა „აზიის განთავისუფლებისა“ და იაპონიის ეგიდით „დიდი აღმოსავლეთ აზიის საყოველთაო აყვავების სფეროს“ შექმნის მიზნით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში აღნიშნულია, რომ ჩინეთ-იაპონიის ერთობლივ განცხადებაში იაპონის მთავრობამ „გამოხატა ღრმა თვითგაკიცხვის გრძნობა, ვინაიდან შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა უდიდესი ზარალისათვის, რომელიც იაპონიამ მიაყენა წარსულში ჩინელ ხალხს ომით“. ნოტა აგრეთვე შეიცავს მოთხოვნას რომ „გასწორდეს სახელმძღვანელოს მცდარი შინაარსი“.

ქენევის მოლაპარაკებაზე

ჟენევა. აქ სსრ კავშირის დელეგაციის ინიციატივით გაიმართა ბირთვული და კოსმოსური იარაღის შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

იმავე დღეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ამ მოლაპარაკების ფარგლებში მოეწყო სტრატეგიული შეტევითი იარაღის ჯგუფის სხდომა.

რასიზმი უნიღბოდ

თავს დასხნენ ჟურნალისტებს

ჰარარე. სამხრეთაფრიკული საიდუმლო პოლიციის აგენტები და მათი დამჭაშები მხეცურად გაუსწორდნენ უცხოელ და ადგილობრივ ჟურნალისტთა ჯგუფს, რომლებიც დაწვრილებით აშუქებდნენ კროსროუდსში რასისტთა სიხსნელიან დანაშაულს. კორესპონდენტებმა კეიპაუნის მახლობლად მდებარე აფრიკულ სოფელში შეაღწიეს იმ დროს, როცა იქ დიდი სადამსჯელო ოპერაცია ხორციელდებოდა.

ბრიტანეთის აი-თი-ენი ტელეკომპანიის თანამშრომლები ჯორჯ დატი და ენდაილ სისო იღებდნენ რასისტთა მიერ შეკოწწიებული „ვიტდოოკეის“ ბანდების არამზადაობა თარეშს, რომლებიც თეთრკანიანი ოფიცრების — სამხრეთაფრიკული „პეცესამსახურების“ აგენტთა ბრძანებით წვავდნენ საცხოვრებელ სახლებს და კლავდნენ სოფლის მცხოვრებთ. თავიანთ წინამძღოლთა მითითებით არამზადები ნაჯახებითა და მაჩეტებით თავს დაესხნენ ჟურნალისტებს, დუმბერიანეს ბადასაღები აპარატურა. რეპორტიორთა მეორე ჯგუფს ცეცხლი დაუშინეს. ტყვიით დაიჭრნენ ფრანგი ფოტოკორესპონდენტი პატრიკ დიურანი და სამხრეთაფრიკელი რეპორტიორი ბერტ ვან ჰეესი. ჟურნალისტები მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს ჰოსპიტალში. დატის მდგომარეობა ექიმებს კრიზისულად მიაჩნიათ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აზრით, რეპორტიორებზე თავდასხმა წინასწარ იყო დაგეგმილი და განხორციელებული დასავლეთის სპეცსამსახურების ლოცვა-კურთხევით. დატმა დასავლეთსა და ისრაელში გარკვეული წრეების უკმაყოფილება გამოიწვია იმით, რომ იგი თავის ჟურნალისტურ მოვალეობას ასრულებდა ლიბანში.

● **სსრ კავშირი-მავრიკია**

მტკიცდება კულტურული ურთიერთობა

ანტანანარივუ. მავრიკიაში ვიზიტი დამთავრა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის დელეგაციამ, რომელსაც საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ვ. რ. ასათიანი მეთაურობდა. ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი შედეგია ამ კავშირისა და „მავრიკია-სსრ კავშირის“ მეგობრობის საზოგადოებას შორის 1986-1987 წლებში კულტურული თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება. ხელშეკრულება თვალისწინებს დელეგაციების, მსახიობთა კოლექტივებისა და სპორტული გუნდების გაცვლას. მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება ბავშვთა ნახატების საერთაშორისო კონკურსში — „აფრიკა აშენებს, აფრიკა იმარჯვებს“ მავრიკიის მონაწილეობის შესახებ, რომელიც 1987 წელს გაიმართება საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის ეგიდით.

მავრიკიის დედაქალაქ პორტლუისში ყოფნისას დელეგაციის წევრებმა და მავრიკიის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა „მრგვალ მაგიდასთან“ განიხილეს მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხები. მისმა მონაწილეებმა განსაკუთრებით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პლანეტის უშიშროებისა განმტკიცებისათვის ყოვლისმომცველ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს, რომლებიც ამა წლის 15 იანვარს წამოაყენა თავის განცხადებაში სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

● **საფრანგეთი**

ხმების მცირეოდენი უმრავლესობით

პარიზი. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ ხმების მცირეოდენი უმრავლესობით ნდობის ვოტუმი გამოუტანა მემარჯვენე უმრავლესობის მთავრობას.

უნდობლობის საკითხი ოპოზიციამ დასვა მთავრობის იმ კანონპროექტის გამო, რომელიც ითვალისწინებს მუშათა დათხოვნებისადმი ადმინისტრაციული კონტროლის გაუქმებას. ამ დოკუმენტის მიღების შემთხვევაში მეწარმენი ფაქტობრივად მიიღებენ უფლებას თავიანთი შეხედულებისამებრ დათხოვონ მუშები და მოსამსახურეები კერძო საწარმოებში. კანონპროექტის წინააღმდეგ ილაშქრებენ საფრანგეთის კომპარტია, სოციალისტები, პროფკავშირები. ქვეყნის უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების — შრომის საყოველთაო კონფედერაციის აზრით, კანონპროექტის მიღებას უმუშევრობის უპრეცედენტო ზრდა მოჰყვება.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **პარიზი.** მესამე დღეა გრძელდება ესპანელი მებადურების მიერ საფრანგეთის ანდაის ნავსადგურის (ატლანტის პირენეის დეპარტამენტი) ბლოკადა. დაახლოებით სამასმა თევზსაჭერმა სეინერმა, რომლებიც ძირითადად ესპანელ ბახკების ეკუთვნით, გადაკეტეს ანდაიდან გასასვლელი გახკონიის ყურეში, იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ მათ აეკრძალათ რეწვა რაიონებში, რომლებსაც ისინი თავიანთ ტრადიციულ ზონებად მიიჩნევენ.

◆ **ტოკიო.** იაპონიის 1600-ზე მეტი კომპანია იძულებული გახდა გამოეცხადებინა, რომ გაკოტრდნენ მიმდინარე წლის მაისში. კერძო კვლევითი სააგენტოს მონაცემებით, ეს მაჩვენებელი რეკორდულია ქვეყნისათვის, თუმცა გათვალისწინებული იყო მხოლოდ იმ კომპანიების გაკოტრება, რომელთა ვალმა 10 მილიონ იენს გადააჭარბა. მასობრივი გაკოტრების ძირითადი მიზეზია იენის მკვეთრი „გაძვირება“ საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე.

◆ **კარაკასი.** (რიხტერის სკალით) დაახლოებით 5,5 बალის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა ვენესუელაში. ეპიცენტრი იყო სუპრეს შტატში ვენესუელის დედაქალაქ კარაკასის აღმოსავლეთით დაახლოებით ხუთას კილომეტრზე. როგორც იუწყებიან, მიწისძვრის ეპიცენტრის უშუალო სიახლოვეს მდებარე დასახლებულ პუნქტებში დაინგრა ცალკეული ნაგებობები, მოსახლეობას შორის არიან დაშავებულნი.

შეცდომა, რომელიც დიდ საფრთხეს შეიცავს

ამერიკელები რეიგანის პოლიტიკის შესახებ

„ეს არის შეცდომა, რომელსაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს“. — ასე დაახასიათა ამერიკის მშვიდობის საქმის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯეიმს ტირნმა პრეზიდენტ რეიგანის უარი, დაიცვას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ჯეიმს ტირნი მეთაურობს ფონდის დელეგაციას, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწვევით. სტუმრები სამ დღეს ეცნობოდნენ საქართველოს ცხოვრებას.

ახლანდელ მშფოთვარე ჟამს ჩვენი სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა თავი უნდა შეიკავონ ნაბიჯებისაგან, რომლებიც გააძლიერებენ ქვეყნებს შორის კონფრონტაციას, თქვა ჯეიმს ტირნმ.

ბირთვული აფეთქებების მორატორიუმის გამოცხადება პირველი ნაბიჯია საყოველთაო კატასტროფის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის გლობალური პრობლემის გადაჭრის გზაზე. აი, ამიტომ უპირს მხარს ჩვენი ფონდი ბატონ გორბაჩოვის ინიციატივას, თქვა შემდეგ ჯეიმს ტირნმ. მან განსაკუთრებით აღნიშნა უმაღლესი დონის შეხვედრათა განგრძობის საჭიროება. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად შეხვდებიან ერთმანეთს რეიგანი და გორბაჩოვი. მნიშვნელოვანია ის, რომ დიალოგი არ შეწყდეს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადება, რომელმაც პრაქტიკულად გააბათილა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება, იმავე ემოციურ ბაზას ემყარება, რომელზეც დამყარებულია ამერიკის შეერთებული შტატების ცდები დააშინოს ხალხი „უდიდესი საბჭოთა საფრთხით“. მაგრამ ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას ემოციები საშიშია, თქვა დელეგაციის წევრმა, ეფექტიანი კონგრესის მომხრე ეროვნული კომიტეტის აღმასრულებელმა დირექტორმა რასელ ჰემენვეიმ. ჩვენს ქვეყნებს შორის შეიძლება იყოს უთანხმოება, დასძინა მან, მაგრამ უფლება არ გვაქვს დავკარგოთ ისეთი საერთო მონაპოვარი, როგორიც არის მეორე ხელშეკრულება. თუ ჩვენ არ გავუფრთხილდებით იმას, რაც უკვე გავაკეთეთ, რასაც უკვე მივაღწიეთ, ძალიან გაგვიძნელდება წინსვლა. რასელ ჰემენვეიმ ხაზი გაუსვა, რომ მეორე ხელშეკრულების პრინციპების დაცვის საკითხი საკვანძო იქნება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატთა არჩევნების წინა პროგრამებში. ხალხი დღეს ისეა განწყობილი, რომ დარწმუნებული ვარ ის გაიმარჯვებს, ვინც მეორე ხელშეკრულებას დაუჭერს მხარს, თქვა დასასრულ რასელ ჰემენვეიმ.

(საქინფორმი).

... ...

**გაზეთი „კომუნისტი“ უკვე იტყობინებოდა, რომ ... ...